

კომერციული ბანკის საოპერაციო რისკების და საინფორმაციო საკვანძო ფაქტორების ურთიერთქმედების საკითხები

“კომერციული ბანკის სანდოობის” განხილვასთან მიმართებაში მიზანშეწონილია, გამოიყოს მისი უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე სუბიექტები და ობიექტები. ობიექტის ქვეშ იგულისხმება საგანი, რომელზეც მიმართულია ვინმეს საქმიანობა. აქედან გამომდინარე, რისკს დაქვემდებარებული ობიექტები:

ფინანსური საშუალებები: ნაღდი ფული (მიმოქცევაში არსებული საბანკო ბანკნოტები, ლითონის მონეტა და უცხოური ვალუტა); ფულადი საშუალებების ეკვივალენტები - ფასიანი ქაღალდები (ჩეკი, თამასუქი, სახელმწიფო მოკლევადიანი/სახაზინო ვალდებულებები, და სხვა); გადახდის საშუალებები, რომლებიც არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდებს, მაგრამ არის ნაღდი ფულის მიღების საშუალება მაგ.: პლასტიკური ბარათები, გადახდის დოკუმენტები (საგადასახადო დავალებები), დეპოზიტური სერტიფიკატი და ა.შ.; საბანკო ფული; სავალუტო ღირებულებები; საბანკო საქმიანობის ობიექტებზე საკუთრების უფლებები (იპოთეკური სუბიექტი და ა.შ.).

მატერიალური რესურსები: შენობები, ტექნიკური აღჭურვილობა და ინვენტარი; საკომუნიკაციო საშუალებები; კომუნალური მომსახურების სისტემები; სატრანსპორტო საშუალებები; ბანკის ინფორმაცია (საინფორმაციო რესურსები), მათ შორის: ბანკის საინფორმაციო რესურსების ფორმირება, გავრცელება და გამოყენება, მონაცემთა ბაზები და ბანკები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, რეგლამენტები და დაგროვების პროცედურები, ინფორმაციის შენახვა და გადაცემა, ბანკის სამეცნიერო ტექნიკური პერსონალი - საინფორმაციო სისტემის დეველოპერები, ბანკის საინფორმაციო სისტემის მომხმარებლები და მომსახურე პერსონალი; საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც შეიცავს ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის ცენტრებს, მისი დამუშავების, გადაცემის და ასახვის ტექნიკური და პროგრამული საშუალებები, ინფორმაციის და ტელეკომუნიკაციების გაცვლა და ინფორმაციის დაცვის

ბიორბი ცაავა –
სტუ-ს პროფესორი
თამარ საყვარელიძე –
სტუ-ს დოქტორანტი

სისტემები და საშუალებები, ობიექტები და შენობები, სადაც განლაგებულია საინფორმაციო საბანკო სისტემების კომპონენტები, აგრეთვე იმართება მოლაპარაკებები, რომელიც მოიცავს შეზღუდული წვდომის ინფორმაციას; საინფორმაციო რესურსები, რომელიც შეიცავს მონაცემებს დაცული ინფორმაციის შესახებ და წარმოდგენილია, როგორც გადამტანი ქაღალდის, მაგნიტურ და ოპტიკურ საფუძველზე, საინფორმაციო ფიზიკურ ველებს, საინფორმაციო მასივებს და მონაცემთა ბაზებს; ძირითადი ტექნიკური საშუალებები და სისტემები, დამხმარე ტექნიკური საშუალებები, სისტემები და კავშირის ქსელები; დამხმარე ტექნიკური საშუალებები და სადგომების და ნაგებობის სისტემები, რომლებიც განთავსებულია იმ ნაგებობებში, სადაც მუშავდება ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ცნობებს დაცული ინფორმაციის შესახებ, აგრეთვე კონფიდენციალური მოლაპარაკებების ჩასატარებელი სადგომები.

ბანკის არამატერიალური სარგებელი - საქმიანი რეპუტაცია (ინფორმაცია, რომელიც ბანკს ახასიათებს, როგორც საქმიან პარტნიორს); საქმიანი კავშირები (საქმიანი ურთიერთობები მოქმედ ან პოტენციურ პარტნიორთან);

სახელმწიფო - ბანკის ქონებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის გარანტი. იგი თავის ფუნქციას ახორციელებს სახელმწიფო სამართალდამცავი, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით შემდეგი გზებით: ბანკის ინტერესების უკანონო ხელყოფაზე სამართლებრივი და სხვა პასუხისმგებლობის დადგენა; დანაშაულებების და სხვა სამართალდარღვევების გამოვლენა, გაფრთხილება, აღკვეთა და გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა და ზარალის ანაზღაურება; ბანკ-

ის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და ზედამხედველობა სანდოობაზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკი – საბანკო რეგულირების სუბიექტი და საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველი. იგი საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ ახორციელებს სალიცენზიო, სამეთვალყურეო, საკონტროლო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნების, მისი სანდოობის უზრუნველყოფის, მეანაბრების და კრედიტორების ინტერესების დაცვისთვის.

ბანკის შიდა კონტროლის სამსახური – მონაწილეობს ბანკის სანდოობის უზრუნველყოფაში პრევენციული ღონისძიებების შემუშავებით და პერსონალის ქმედებებისა და გადაწყვეტილებების გამოვლინებით, რაც შეიცავს პოტენციურ რისკს ქონებისა და ბანკის ფუნქციონირების ზარალის მიყენებით. თავისი ფუნქციების შესრულებისთვის სამსახური გამოიყენებს ადმინისტრაციული და საფინანსო კონტროლის საშუალებებს და მეთოდებს.

ბანკის უსაფრთხოების სამსახური – მონაწილეობს ბანკის ქონება-საკუთრების და ინფრასტრუქტურის დაცვაში. თავისი ფუნქციების შესასრულებლად სამსახური გამოიყენებს სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ტექნიკურ, სამშენებლო, უსაფრთხოების და კრიმინალისტიკური ხასიათის საშუალებებს და მეთოდებს.

იურიდიული და ფიზიკური პირები – მათ შორის პარტნიორები და კლიენტები საფინანსო ურთიერთობებში, რომლებიც ჩართულნი არიან კომერციული ბანკის ფუნქციონირების პროცესში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარე ფინანსურ ურთიერთობებში (სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აღმასრულებელი ორგანოები, მოსამსახურე პერსონალი, კლიენტები და სხვ.).

ბანკის სანდოობის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე ყველა მონაწილის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სისტემის ფუნქციონირების სანდოობა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პრინციპებს: კანონიერება; ანგარიშვალდებულება ბანკის ხელმძღვანელის წინაშე და მის მიერ კონტროლი; საჯაროობის და კონფიდენციალობის შეხამება; ეკონომიკური მიზანშეწონილობა; უფლებამოსილების გამიჯვნა; განვითარება და სრულყოფა.

კანონიერება არის სანდოობის უზრუნველყოფის პრინციპი, რომელიც ვარაუდობს საბანკო საქმიანობის და კომერციული ბანკის გარე და შიდა ურთიერთობების შესაბამის-

ბას საქართველოს ფედერაციის კონსტიტუციის, პრეზიდენტის და მთავრობის აქტების, ფედერაციის სუბიექტების ნორმატიულ სამართლებრივ აქტებთან, აგრეთვე უწყებებისა და ბანკის შიდა (ლოკალური) ნორმატიულ აქტებთან.

ანგარიშვალდებულება ბანკის ხელმძღვანელის წინაშე და მის მიერ კონტროლი – გულისხმობს სისტემის შექმნას და ფუნქციონირებას, რომელიც ფინანსდება ბანკის სახსრებიდან. ხელმძღვანელი და თანამშრომლები იწყებენ მუშაობას, ინიშნებიან თანამდებობაზე, მიდიან დაკავებული თანამდებობიდან და თავისუფლდებიან ბანკის ხელმძღვანელის ბრძანებით. ძირითადი ამოცანები (აუცილებელ შემთხვევებში აგრეთვე მიმდინარე დავალებები) მტკიცდება ბანკის ხელმძღვანელის მიერ. თავისი საქმიანობის შედეგების შესახებ ქვედანაყოფები ანგარიშს აბარებენ ბანკის ხელმძღვანელს. ქვედანაყოფების მიერ მიღებული მასალები ხელყოფის, ბანკის ინტერესების დარღვევის და საიმედოობის დაქვეითების ფაქტების შესახებ გამოიყენება ბანკის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალდამცავი ორგანოების აუცილებელი ინფორმირების შემთხვევებისა).

საჯაროობის და კონფიდენციალობის შეხამება. ბანკის სანდოობის უზრუნველყოფის სისტემის საქმიანობა ხორციელდება საჯაროდ, თუმცა აუცილებელ შემთხვევებში ქონების, ინფორმაციის და მოქალაქეობრივი უფლებების სხვა ობიექტების დაცვის ინტერესებში, რომელთა გამოყენება არ არღვევს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს (თვალთვალის, ფარული კამერების, ქონებისა და ინფორმაციის დაცვის ფარული მეთოდების გამოყენება), გამოიყენება კონფიდენციალური ხასიათის მეთოდები და საშუალებები.

სამწუხაროდ, თანამედროვე ეკონომიკურ სიტუაციაში კონკურენტულ ბრძოლაში მონაწილეობენ არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები, არამედ სამრეწველო ჯაშუშობის ორგანიზაციებიც, კორუპირებული მოხელეები, მაფიოზური ორგანიზაციები, რაც, მიუხედავად ბიზნესის მასშტაბებისა, განსაკუთრებით სახიფათოა ცივილიზებული მეწარმეობისთვის.

სანდო ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამ უკანასკნელისა და დროის შუალედების უშუალო დაკომპლექტება, რომელთა მიხედვით მომავალში ხდება კომერციული ბანკის სანდოობის შეფასება, დამოკიდებულია ანალიზის ჩამტარებელი და სტრატეგიაში სასურველი შედეგის ჩამდები პირების ინტერესებზე. კომერციული ბანკის სანდოობის

დახასიათება ეყრდნობა გარე და შიდა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას, და ამის საფუძველზე ხდება დღევანდელი საქმიანობის და მომავალში ბანკის სანდოობის ხარისხის შეფასება.

ბანკის სანდოობის წარმოდგენაზე სრული მოცულობის ინფორმაციის შესაქმნელად აუცილებელი არსებობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ სანდოობა, რომელიც გარკვეული ალბათობით ეყრდნობა ბანკის შესახებ არსებულ ინფორმაციას, არის არა უბრალოდ საიმედოობის ალბათობა, არამედ საიმედოობის ალბათობა კომერციული ბანკის შესახებ გარკვეული ინფორმაციის არსებობისას, რაც მიუთითებს კომერციული ბანკის სანდოობის სუბიექტურ შეფასებაზე. რაც უფრო ზუსტ ინფორმაციას ფლობს მომხმარებელი, მით უფრო მეტი საფუძველი აქვს, ჩაითვალოს ბანკი სანდოდ ან არასაიმედოდ. რაც უფრო ნაკლებად ზუსტია წინასწარი ინფორმაცია, მით უფრო ძნელია გარკვეული პასუხის გაცემა და ამიტომ უფრო ხშირად სანდოობა გაურკვეველ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, სანდოობის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორების კლასიფიკაციას, რომელიც გასათვალისწინებელია კომერციული ბანკის სანდოობის შეფასებისას.

შედარებით ადვილად გასაგებია, რომ ნებისმიერი ბანკი შეიძლება განიცდიდეს მთელი რიგი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებას, თუმცა არსებული შესაძლებლობების და პოტენციური საფრთხეების განსაზღვრა მათი მექანიკური ანალიზით არ იძლევა კომერციული ბანკის სანდოობაზე განსჯის საშუალებას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა გარე ფაქტორებს. მათ დახასიათებლად სტრატეგიის ფორმულირებისას აუცილებელია გამოვეყნოთ ე.წ. საკვანძო ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს კომერციული ბანკის საქმიანობაზე. საკვანძო ფაქტორებს წარმოადგენს ის ზოგად-ეკონომიკური პირობები, რომელშიც კომერციულ ბანკს უხდება საქმიანობა.

ბანკის სანდოობა მეტწილად დამოკიდებულია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მოსალოდნელ დონესა და საბანკო საქმიანობის ავტომატიზაციის საშუალებების, ინფორმაციის მართვის სისტემებზე. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ბანკს უფლებას აძლევს თავიდან აიცილოს საოპერაციო რისკების დიდი ნაწილი, გაზარდოს ჩასატარებელი ოპერაციების მოცულობა, შეამციროს ხარჯები და საქმიანი დოკუმენტების ნაკადი. ამას გარდა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ კომერცი-

ული ბანკის სანდოობის ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ბევრი შეიძლება გახდეს საოპერაციო რისკების წყარო და ამიტომ კრიზისული მოვლენების დროული და საოპერაციო რისკების ადაპტირებული მართვა წარმოადგენს კომერციული ბანკის სანდოობის ხელშეწყობის და უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ამოცანას.

თუმცა კომერციული ბანკის სტაბილური მუშაობა შეუძლებელია არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის პირობებში. საზოგადოების იდეოლოგიური ორიენტაცია, პოლიტიკური სიტუაცია, საბანკო სისტემისადმი ნდობის საკითხი ზოგადად, და კომერციული ბანკებისადმი კერძოდ, გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე, არამედ კომერციული ბანკების სანდოობაზეც.

თავის საქმიანობაში კომერციული ბანკი მეტწილად ორიენტირებულია კლიენტების საქმიანობაზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რომლებიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბაზრის განვითარების ტენდენციასა და დონეზე, არამედ თვით კომერციული ბანკის განვითარებაზეც, რომელიც ვალდებულია დააკმაყოფილოს კლიენტების ყველა მოთხოვნა ფინანსურ პროდუქტებზე.

ბანკის მიერ კლიენტების მოთხოვნების შესრულების შესაბამისობას მოჰყვება ის, რომ მეტწილად კომერციული ბანკები დამოკიდებული ხდება გარე სტრუქტურაზე, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ამ ტერმინისთვის ჩვეულ ატრიბუტებს, არამედ იმ ინფორმაციის მიღების ხერხებსაც, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილებების მისაღებად, კომერციული ბანკების უზრუნველსაყოფად მოწინავე სამეცნიერო კვლევებით და მაღალკვალიფიციური კადრებით.

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული დახასიათებული გარე ფაქტორის მნიშვნელობის (წონადობის) მიუხედავად, მათ ანალიზს სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს – ეს ფაქტორები არ შეიძლება განხილულ იქნან ერთმანეთისგან იზოლირებულად. ამასთან ერთად, გარე ფაქტორების განხილვა შევსებული უნდა იყოს სხვა ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენს კომერციული ბანკის საქმიანობაზე, თუმცა მათ უფრო შიდა ხასიათი (ბუნება) აქვთ.

შიდა ფაქტორები შეიძლება დავყოთ საორგანიზაციო, ფინანსურ და საინფორმაციო ფაქტორებად. ჩამოთვლილი ჯგუფები ხშირად მკაფიოდ არ არის გამოიჯნული, მაგრამ პრაქტიკულად ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომერციული ბანკის სანდოობაზე, მის მდგომარეობაზე ეკონომიკური კრიზისების დროს და გარე ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედებისას.

ფაქტორების საორგანიზაციო ჯგუფი შეიცავს საბანკო მენეჯმენტის მდგომარეობას, კომერციული ბანკის მზაობას ცვლილებებისა და ინოვაციებისთვის, სტრატეგიულ განვითარებას, მართვის შიდა სტრუქტურის ეფექტურობას. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის სანდოობის მახასიათებლებზე და სულ უფრო მეტ წონას იძენს საბანკო სფეროში მზარდი კონკურენციის პირობებში.

კომერციული ბანკის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და სისტემა უნდა შეესაბამებოდეს როგორც კომერციული ბანკის მიერ განსაზღვრულ მიზნებს, ასევე საფინანსო პროდუქტებისა და მომსახურების შემოთავაზებულ სპექტრს.

ფაქტორების საფინანსო ჯგუფი მოიცავს ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრას, რომლებიც გავლენას ახდენს კომერციული ბანკის სანდოობაზე. მაჩვენებლების რაოდენობა და ანალიზის სიღრმე დამოკიდებულია, პირველ რიგში, საინფორმაციო ბაზის ანალიზისთვის - ჩასატარებელი და გამოსაყენებელი კვლევების მიზნებზე. ტრადიციულად გამოყოფენ ანალიზის შემდეგ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც იმოქმედებს კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის ისეთ პირობებზე, როგორიცაა კაპიტალის საკმარისობა, აქტივების და პასივების ხარისხი, შემოსავლიანობა და ლიკვიდურობა.

სტრუქტურის, ლიკვიდურობის და შემოსავლიანობის ანალიზი მოიცავს კომერციული ბანკის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს და უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნები ბანკის სანდოობის დონეზე. თავის მხრივ, სანდოობა პირდაპირ კავშირშია რესურსების ერთობლიობასთან, რომლებიც რაციონალურადაა არის განაწილებული კომერციული ბანკისთვის უფრო მომგებიან აქტივებს შორის მისი ლიკვიდურობის საერთო დონის შენარჩუნების პირობით. ეს კი მოითხოვს აქტიური და პასიური ოპერაციების სტრუქტურის წინასწარ ანალიზს. ეს უკანასკნელი შესაძლებელია ჩატარდეს ანგარიშვალდებულების საფუძველზე, რომელიც შედგება კომერციული ბანკის მუშაობის რაოდენობრივი მაჩვენებლების კომპლექტით, რაც ყოველმხრივ აღწერს მის მდგომარეობას და რომელთა სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სანდოობაზე. ამისთვის ყოველი ასეთი მაჩვენებლისთვის საჭიროა განისაზღვროს დასაშვები მნიშვნელობების საზღვრები, რომელთა გარეთ ისინი შეფასდება, როგორც ნეგატიური ასპექტების გამოვლინება კომერციული ბანკის მუშაობაში.

თანამედროვე კომპიუტერული და საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება კომერციულ ბანკებს უფლებას აძლევს ჩაატაროს ანალიტიკური მიმოხილვები, მოგვცეს პროგნოზები სხვადასხვა საკითხებზე, მოგვაწოდოს საკონსულტაციო მომსახურებები, რაც დადებითად იმოქმედებს კონკურენტუნარიანობაზე და აამაღლებს ბანკის სანდოობას. ზოგადად, ბანკის სანდოობა ხასიათდება სუბიექტური შეფასებით. ეს, პირველ ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ კომერციული ბანკის სანდოობის ანალიზის უნივერსალური მეთოდიკა დღეისთვის არ არსებობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. სანდოობის შეფასება ხშირად უშუალო საკონტროლო დონისძიებების ფარგლებში ხდება, რაც დაკავშირებულია კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებასთან, ე.ი. ხდება მათი საეაღდებულო შეფასება სამეთვალყურეო ორგანოს მიერ ან თვით კომერციული ბანკის ინიციატივით.

ამასთან ერთად გარე ფაქტორებად აღიარებულია უკვე არსებული ან ისეთი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება აღმოცენდეს ბანკის გარეთ და ზეგავლენა მოახდინოს მის ინტერესებზე, ხოლო შიგა ფაქტორებად – შიდა კონფლიქტებით ან სხვა პირობებით გამოწვეული, რომლებიც წარმოიშვება უშუალოდ კოლექტივიდან, ადამიანთა ჯგუფებიდან და ცალკეული პირებისგან, რომელთაც მოცემულ დაწესებულებაში აქვთ გარკვეული უფლებამოსილებები თავისი მოვალეობების შესრულებისას.

თაღლითობასთან დაკავშირებული სანდოობის შიგა ფაქტორები უშუალოდაა დამოკიდებული კომერციული ბანკის თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე. პრაქტიკა მოწმობს, რომ საბანკო სფეროში არსებულ დანაშაულთა უმრავლესობა ჩადენილია იქ მომუშავეთა ან სტრუქტურული ქვეგანყოფილებების ყოფილ თანამშრომელთა მიერ. სამწუხაროდ, თაღლითობას უკავია ყველაზე დიდი წილი კომერციული ბანკის სანდოობის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორში, როგორიცაა ბანკის ინფორმაციის დაცვის დონე.

საბანკო სისტემის სანდოობის ზრდა საქართველოს ბანკისგან მოითხოვს საბანკო დაწესებულებებზე ზედამხედველობის ხარისხის მუდმივ დახვეწას.

საბანკო რისკის ზონები შეიძლება იყოს როგორც ცალკეული ქვეყნები, რეგიონები, ასევე გარკვეული ოპერაციები, ინვესტიციები, ცალკეული საფინანსო-საწარმოო ჯგუფებისთვის ან დარგებისთვის კრედიტების გაცემა. ამასთან ერთად, საბანკო ზედამხედველობამ თავიდან უნდა აიცილოს საბანკო სისტემის ფინანსურ

სტაბილურობაზე ნეგატიური გავლენის შესაძლებლობები პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს ანალიზის და პროგნოზირების მეშვეობით. ასეთი ანალიზით სავარაუდოა განისაზღვროს: საბანკო სფეროში ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების გავლენის მოცულობების და ეროვნული მეურნეობის დარგებზე საბანკო სისტემების დამოკიდებულების ხარისხი, რასაც აკონტროლებს სხვადასხვა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები; საბანკო სისტემის სუბიექტების დაქვემდებარება სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების გავლენაზე, რომელთაც შეუძლიათ მათი მეშვეობით გაატარონ ეროვნული საბანკო სისტემის მომშლელი ღონისძიებები.

ეროვნულმა ბანკმა მიღებული ინფორმაცია აუცილებელია გააანალიზოს საბანკო ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან სადამფუძნებლო ღონისძიებების დროული გატარების მიზნით, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ: ბანკების მიმართ მოთხოვნების წამოყენება დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ საბანკო დაწესებულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცალკეულ საფინანსო-სამრეწველო ან პოლიტიკურ ჯგუფზე; სხვადასხვა სახელმწიფოების იმ საფინანსო ორგანიზაციების სანდოობის ხარისხის განსაზღვრა, სადაც განთავსებულია ეროვნული კომერციული ბანკების აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნების და ცალკეული ბანკების და ფინანსური ჯგუფებისთვის კორანგარიშებზე უნდა დადგინდეს მაქსიმალური ნაშთების ლიმიტები. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული საბანკო დაწესებულება რაიმე გარემოებების გამო მოიპოვებს მონოპოლიას გარკვეული ფინანსური ოპერაციების მომსახურებაზე, ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა ჩაატარონ მთელი რიგი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება ფინანსური ნაკადების კონცენტრაციის და ამ დაწესებულების მონოპოლიის აღმოფხვრაზე. ასევე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა დაიწყონ საკანონმდებლო ნორმების შექმნა, რაც საშუალებას მისცემს აამაღლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პასუხისმგებლობა არასანდო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს ფინანსურ ან საბანკო კრიზისამდე კონკრეტული ბანკების ან მთლიანად საბანკო სისტემის ნდობის ძირგამოთხრის საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არასანდო ინფორმაციის გავრცელების გავლენის შესამცირებელ გამაძლიერებელ ფაქტორად

გვევლინება დამოუკიდებელი სარეიტინგო სააგენტოების როლის გაძლიერება, რომლებიც საბანკო დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის ალტერნატიულ შეფასებას წარმოადგენს.

საბანკო სისტემის სანდოობის ამაღლება უნდა ხდებოდეს აგრეთვე მთავრობის მიერ საერთო მაკროეკონომიკური ფაქტორების გასაუმჯობესებლად შემდეგი ღონისძიებების გატარებით: საბანკო სისტემებისადმი საერთო ნდობის ამაღლება და მასში მოსახლეობის თანხების მოზიდვა; ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორიდან საბანკო სისტემაში თანხების დაბრუნება; ეროვნული ვალუტის სტაბილურობის და მის მიმართ ნდობის ამაღლება.

ამგვარად, საბანკო სისტემის სანდოობას ხელი უნდა შეეწყოს ანალიტიკური, მარეგულირებელი და მაკროეკონომიკური ღონისძიებების სისტემით, რომლებიც ხორციელდება როგორც საბანკო სისტემის ფარგლებში ცენტრალური ბანკის, ასევე მთავრობის მიერ, რაც სცილდება ცენტრალური ბანკის გავლენის სფეროს.

სანდოობის ფაქტორის თითოეული შემადგენელი (საორგანიზაციო, საინფორმაციო და საფინანსო) პირდაპირ ურთიერთქმედებს საოპერაციო რისკებთან. ამიტომ, ჩვენი აზრით, საოპერაციო რისკი წარმოადგენს დომინანტს საბანკო რისკების სისტემაში, რომელიც გავლენას ახდენს კომერციული ბანკის სანდოობაზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საოპერაციო რისკების იდენტიფიკაციის და კლასიფიკაციის პროცესი ბევრ ბანკში დაკავშირებულია სერიოზულ პრობლემებთან, როგორიცაა საკრედიტო დაწესებულების ბიზნესპროცესების ტიპური მოდელების არარსებობა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს იმ რისკების აღმოცენების უბნები, რომლებიც ბაზელის კლასიფიკაციის შესაბამისად აუცილებელია მათ გამოსავლენად. ამ პრობლემის გადასაჭრელად და კომერციული ბანკის სანდოობის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწისთვის ახალი მიდგომების მოძიების მიზნით, ჩვენ მიერ შემუშავებულია საბანკო საოპერაციო რისკების კლასიფიკაცია. შემოთავაზებული კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს საკლასიფიკაციო ნიშნების დაყოფა სამ ფუნდამენტურ მიმართულებად: შეძლებისდაგვარად ფინანსური რესურსების მოწოდების, მიღების, ფინანსური ინფორმაციის მოწოდების და საკადრო პოლიტიკის ხარისხის მიხედვით.

საოპერაციო რისკების შემოთავაზებული კლასიფიკაციის შესაბამისად, გამოვლენილი მიზეზებისა და შედეგების შესწავლისას ჩვენ მიერ განსაზღვრულ იქნა, რომ რუსულ პრაქტიკაში დღეისთვის არსებული გაფრთხილების,

შეფასებისა და საოპერაციო რისკების მართვის მეთოდები საკმარისად არ არის შესწავლილი.

ბაზელის კომიტეტის წინადადებებში, რომელიც ეხება კაპიტალის ადეკვატურობის ნორმატივებს, სადაც განსაკუთრებული ადგილი სწორედ საოპერაციო რისკებს უკავია, აღნიშნულია, რომ საბანკო ანგარიშებზე კლიენტების გარიგებების არაღროული კონტროლის გამო გამოწვეულ დანაკარგებს შეუძლია მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ბაზელის კომიტეტი მკაფიოდ აღიარებს საოპერაციო რისკს, როგორც რისკის ცალკეულ კლასს, რომელიც განსხვავდება საკრედიტო და საბაზრო რისკებისგან და მისი შეფასებისთვის სხვადასხვა მიდგომებს გვთავაზობს. ბუნებრივია, რომ ეს მიდგომები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, ხოლო შეფასების მეთოდოლოგიის სირთულის დონე ამ მიდგომების მიხედვითი ერთმანეთისგან განსხვავდება. უფრო მეტიც, ბაზელის მიერ საოპერაციო რისკის შეფასების შემოთავაზებული მეთოდები მთელ რიგ შენიშვნას ბადებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ თეორიული თვალსაზრისით კაპიტალის ადეკვატურობის კონცეფცია არ იწვევს არავითარ კითხვებს, მისი გამოყენება საბანკო ზედამხედველობის პრაქტიკაში დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულესთან. ყველა მათგანი, ასე თუ ისე, დაკავშირებულია რისკების სიდიდის შეფასების პრობლემასთან, რომელსაც ბანკები თავის თავზე იღებს. შემოთავაზებულ სტანდარტიზებულ მეთოდებს არ შეუძლიათ რეზერვების ფორმირება იმ მოცულობით, რომელიც კონკრეტულ ოპერაციებზე სავარაუდო დანაკარგების ადეკვატურია. შედეგად, ბანკი ან მოტივირებულია უფრო სარისკო გარიგებების დადებაზე, ან თავისი საქმიანობის დაბალი ეფექტურობის პრობლემის წინაშე დგება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის არ არსებობს ობიექტური მეთოდები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა კომერციული ბანკის სანდოობას რაოდენობრივი შეფასების მიცემა. ამას აგრეთვე ადასტურებს მრავალრიცხოვანი გაკორტრების შემთხვევა, რომელიც გვეჩვენა თანამედროვე ფინანსური კრიზისის

დროს ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც შენარჩუნებულია სტაბილური საბანკო სისტემა.

ამგვარად, კომერციული ბანკების სანდოობის საკვანძო ფაქტორების და საოპერაციო რისკების ურთიერთქმედების განსაზღვრის შემდეგ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გაგვეანალიზებინა მიდგომები საოპერაციო რისკის შეფასებისადმი, რაც წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ ელემენტს კომერციული ბანკის სანდოობის ხელშეწყობისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი სახის მოკლე დასკვნის გამოტანა არის შესაძლებელი:

1. შესწავლილია კომერციული ბანკის მონაწილე სუბიექტები და ობიექტები, როგორიცაა: ფინანსური საშუალებები, მატერიალური რესურსები, საინფორმაციო რესურსები, არამატერიალური სარგებელი, სახელმწიფო, ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები, შიგა კონტროლის სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, იურიდიული და ფიზიკური პირები და ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემის ფუნქციების საიმედოობის განმსაზღვრელი მოთხოვნები;

2. შემოთავაზებულია სანდო ბანკის მხრიდან დამაკმაყოფილებელი განსაზღვრული მოთხოვნები (კრიტერიუმები), რომელთა მიხედვით ბანკების დახასიათება ყურდნობა გარე და შიგა ხელმისაწვდომ ინფორმაციებს და მის საფუძველზე ხდება ბანკის საქმიანობის სანდოობის ხარისხის შეფასება;

3. აღნიშნულია, რომ სანდოობა პირდაპირ კავშირშია რესურსების ერთობლიობასთან, რომლებიც რაციონალურად არის განაწილებული კომერციული ბანკისათვის უფრო მომგებიან აქტივებს შორის მისი ლიკვიდურობის საერთო დონის შენარჩუნების პირობით, რაც აქტიური და პასიური ოპერაციების სტრუქტურის წინასწარ ანალიზს მოითხოვს.

4. ხაზგასმულია, რომ ბაზელის კომიტეტი მკაფიოდ აღიარებს საოპერაციო რისკს, როგორც ცალკეულ კლასს, რომელიც განსხვავდება და საბაზრო რისკებიდან და მისი შეფასებისათვის სხვადასხვა მაგალითს გვთავაზობს.

1. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ.- რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო -საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. თბილისი, გამომცემლობა „აფხ. მეცნ. აკადემია“, 2007. – 567 გვ.
2. ხანთაძე გ, ცაავა გ. - საჯარო ფინანსები: თეორია და მეთოდები. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2013. – 403 გვ.
3. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ.- რისკები და დაზღვევა. - თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2010. – 468 გვ.

INTERACTION IS A KEY FACTOR IN THE BANK'S OPERATIONAL RISK AND RELIABILITY ISSUES

GIORGI TSAAVA - professor of GTU
TAMAR SAKVARELIDZE - student of GTU

1. Studied the participating subjects and objects of the commercial bank, such as financial assets, financial resources, information resources, intangible benefits, the state , national and commercial banks , internal control services , security services, legal and natural persons and the requirements for determining the reliability of the banking system functions are sets up.
2. Proposed the satisfying specified requirements (criteria) by a reliable bank, according to which banks characterization relies on the inner and external information available about them and the assessments about the credibility of the bank's activities are made on this basis.
3. It is underlined that the reliability is directly related to the availability of recourses, which are rationally distributed among commercial bank's most profitable assets to maintain the overall level of liquidity provided, which requires a preliminary analysis of the structure of the active and passive operations.
4. It is emphasized that the Basel Committee clearly recognizes operational risk as a separate class, which differs from market risks and offers variety of examples for assessment.